



საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

მთავრობის

# დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული

1940 წ. სექტემბრის 12

№ 22

თბილისი

## შ ი ნ ა ა რ ს ი

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

90. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ „ავტომანქანებზე არასათანადო ზომის რეზინის გამოყენების აკრძალვის თაობაზე“ მიღებული დადგენილების გაუქმების შესახებ.
91. სამეცნიერო-საკვლევო ფარმაცო-ქიმიური ინსტიტუტის საქართველოს სსრ ჯანსაჯკომის ფარმაცო-ქიმიური მრეწველობის სამმართველოსათვის დაქვემდებარების შესახებ.
92. ქ. თბილისში 1940-41 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში განათების საჭიროებისათვის ელექტროენერგიის ხარჯვაში მომჭირნეობის დაცვის ღონისძიებათა შესახებ.
93. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დასასვენებელ დღედ კვირის დაწესების შესახებ.
94. საეკპრო ორგანიზაციების მიერ უკანონოდ შექმნილი წარმომადგენლობათა ლიკვიდაციის შესახებ.
95. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის აპარატის სტრუქტურის შესახებ.
96. 1940 წლისათვის ითხვისის კვარცის ქვიშის დროებითი გასაცემი ფასის დამტკიცების შესახებ.
97. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხის დამატების შესახებ.
98. საქართველოს სსრ ზიარცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სტრუქტურისა და შტატის შესახებ.



## სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

90. საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ „ავტომანქანებზე არასათანადო ზომის რეზინის გამოყენების აკრძალვის თაობაზე“ მიღებული დადგენილების გაუქმების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს;

გაუქმდეს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1939 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება „ავტომანქანებზე არასათანადო ზომის რეზინის გამოყენების აკრძალვის შესახებ“ (საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 21, მუხ. 90).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარე გ. ბაქრაძე.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. სექტემბერი 6. № 1665.  
თბილისი.

91. სამეცნიერო-საკვლევო ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტის საქართველოს სსრ ჯანსახკომის ფარმაკო-ქიმიური მრეწველობის სამმართველოსათვის დაქვემდებარების შესახებ.

იმ მიზნით, რომ უფრო წარმატებით განვითარდეს საქართველოს ფარმაკო-ქიმიური მრეწველობა სამეცნიერო-საკვლევო ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტის მეცნიერულ მიღწევათა ბაზაზე, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:

დაექვემდებაროს სამეცნიერო-საკვლევო ფარმაკო-ქიმიური ინსტიტუტი საქართველოს სსრ ჯანსახკომის ფარქიმმრეწვს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ხტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე..

1940 წ. სექტემბრის 6. № 1673.  
თბილისი.

92. ქ. თბილისში 1940-41 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში განათების საჭიროებისათვის ელექტროენერჯიის ხარჯვაში მომჭირნეობის დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

ქ. თბილისში 1940-41 წლის შემოდგომა-ზამთრის პერიოდში განათების აჭიროებისათვის ელექტროენერჯიის მომჭირნეობით ხარჯვის მიზნით საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენს:



20 კვ. მეტრიანი საცხოვრებელი ოთახისათვის ნათურა სიმძლავრით 25 ვატამდე.

20 კვ. მეტრზე მეტი ფართობის საცხოვრებელ ოთახისათვის ნათურა სიმძლავრით 50 ვატამდე.

სასამსახურო სათავსებისა და საერთო სარგებლობის ადგილებისათვის (გასასვლელები, კორიდორები, კიბის ყაფაზები და სხვ.) ნათურა სიმძლავრით 15 ვატამდე.

5. მორიგი ნათურები სახლის ნომრებთან გამოირთოს.

### გ. დაწესებულებებისა და სავაჭრო ქსელის განათებისათვის.

6. დაწესებულებების, საწარმოების, სასწავლებლებისა და სამკურნალო დაწესებულებების (გარდა სპეციალური სათავსებისა), თეატრებისა და სანახაობების, (გარდა სცენისა) ბიბლიოთეკების, მუზეუმების, გამოფენების, კლუბების, სავაჭრო სადგომების, რესტორნების, კაფეების, სასადილოებისა და სხვათათვის დაწესდეს სიმძლავრის მაქსიმალური ნორმა კვადრატულ მეტრ ფართობზე 6 ვატი.

7. ღამის საათებში გაღებულ სავაჭრო საწარმოებში (მაღაზიები, რესტორანები, სასადილოები და დარბაზები) დაშვებულ იქნას განათების ჩართვა ქუჩის განათებაზე ნახევარი საათით ადრე იმ პირობით, რომ იგი მთლიანად იქნება გამორთული ვაჭრობის დამთავრების შემდეგ და დატოვებული იქნება მხოლოდ მორიგი განათება არაუმეტეს 15 ვატისა სავაჭრო ფართობის 100 კვ. მეტრზე.

8. აკრძალულ იქნას ყოველგვარი დეკორაციული განათება, ხოლო არასავაჭრო საათებში ვიტრინების განათებაც. მორიგე განათება ჩაქრობილ იქნას განთიადის დადგომისას.

9. გამოირთოს ღამის 12 საათზე სავაჭრო სანახაობითი და სხვა საწარმოების ყოველგვარი სარეკლამო განათება, გარდა მორიგე აფთიაქებისა და ღამის მაღაზიებისა.

10. საღამოს საათებში მომუშავე დაწესებულებებში დაშვებულ იქნას განათების ჩართვა ქუჩის განათებამდე ნახევარი საათით ადრე, იმ პირობით, რომ მუშაობის დამთავრების შემდეგ განათება მთლიანად იქნება გამორთული ოთახებში და დატოვებული იქნება მხოლოდ მორიგე განათება კიბის ყაფაზებში, კორიდორებში, გასასვლელებში და სხვაგან არა უმეტეს 15 ვატისა თვითეულ ადგილას.

11. ჩაქრობილ იქნას თეატრების მთელი საფასადო და გარეგანი განათება სპექტაკლების დაწყების შემდეგ, შუქი აინთოს 10 წუთით ადრე სპექტაკლის დამთავრებამდე იმ ვადით, რაც მნახველებს სჭირდებათ შენობის გასათავისუფლებლად.

12. კლუბებში განათება ჩაირთოს ქუჩის განათებასთან ერთად და მთლიანად გამოირთოს ყოველი განათება ხალხის წასვლის შემდეგ, მაგრამ არა უგვიანეს ღამის პირველი საათისა, დატოვებულ იქნას მხოლოდ მორიგე განათება.

13. რკინიგზის ვაგზლებისა და ლიანდაგებისათვის დაშვებულ იქნას განათების ჩართვა ქუჩის განათებაზე ნახევარი საათით ადრე და გამორთვა ნახევარ საათით გვიან.

### დ. სამრეწველო საწარმოთა განათებისათვის.

14. ფაბრიკებისა და ქარხნების ღირექტორებმა სამი დღის ვადაში გადასინჯონ განათების წერტების რაოდენობა, სიმძლავრე და საამქროებში მათი განლაგების მიზანშეწონილობა და მიიღონ ზომები მათი მაქსიმალური შემცირებისათვის. კანტორებში, დამხმარე სადგომებში, საწყობებში და ქარხნების ეზოებში განათება შეფარდებულ იქნას დაწესებულებებისათვის დადგენილ ნორმებთან (კარი გ).

15. თელასმა ენერგოგასაღებასთან, საქენერგოსთან და სათანადო უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ერთი თვის ვადაში ჩაატაროს ელექტროენერჯის მომხმარებელი ყველაზე მსხვილი ფაბრიკებისა და ქარხნების სპეციალური გამოკვლევა იმ მიზნით, რომ შეამოწმოს ჩატარებული შემცირება განათების დასაშვებ მინიმუმამდე სამუშაო საამქროებსა და დანარჩენ სადგომებში.

16. ღამით მომუშავე სამრეწველო საწარმოთა ტერიტორიის გარეგანი განათება უნდა ჩაირთოს ქუჩის განათებასთან ერთად და გამოირთოს მუშაობის დამთავრების შემდეგ, დასაცავი ზონის მორიგე განათების დატოვებით.

სამრეწველო საწარმოების საამქროებში, სადაც მუშაობა არ სწარმოებს ღამის საათებში, ჩაერთვის მხოლოდ მორიგე განათება სიმძლავრით არაუმეტეს 0,5 ვატისა, სასარგებლო ფართობის კვადრატულ მეტრზე.

შუქის ნაკადის საუკეთესო გამოყენებისათვის თვეში ერთხელ მაინც ჩატარდეს განათების, არმატურისა და ფანჯრის მინების გაწმენდა და გარეცხვა და რეგულიარულად ტარდებოდეს კედლებისა და ქერების გათეთრება.

17. აეკრძალოს უკლებლივ ელექტროენერჯის ყველა მომხმარებელს ყოველგვარი ელექტროხელსაწყობით სარგებლობა სადგომების გასათბობად.

18. განათების საჭიროებისათვის ელექტრო ენერჯის ხარჯვის ამ დადგენილებით დაწესებული ნორმების დაცვისათვის პასუხისმგებლობა დაეკისროთ დაწესებულებების, საწარმოების ხელმძღვანელებს, მაღაზიების ღირექტორებს, სახლთა მმართველებს და თელასს—ქუჩების განათების მხრივ.

19. ამა დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს ენერგოგასაღებას, საქენერგოს, თელასსა და მუშურ-გლეხური მილიციის ორგანოებს.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. სტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

### 93. საქართველოს სსრ ტერიტორიაზე დასახვენებელ დღედ კვირის დაწესების შესახებ.

შესაბამისად სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებისა „რვა საათიან სამუშაო დღესა და შვიდდღიური სამუშაო კვირაზე გადასვლისა და საწარმოთა და დაწესებულებებიდან მუშათა და მოსამსახურეთა თვითნებურად წასვლის აკრძალვის შესახებ“ და სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1940 წლის 27 ივნისის დადგენილებისა აღნიშნული ბრძანებულების ჩატარების წესის შესახებ (სსრკ დადგ. კრ. 1940 წ. № 16, მუხ. 385), საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე დასვენების დღედ კვირის მეშვიდე დღე — კვირა.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი:

ა) 1927 წლის 29 აპრილისა „სახელმწიფო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1927 წ. № 4, მუხ. 69-1930 წ. № 15, მუხ. 236);

ბ) 1929 წ. 21 მაისისა „საქართველოს სსრ საწარმოთა 7 საათის სამუშაო დღეზე გადაყვანის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1929 წ. № 13, მუხ. 135);

გ) 1931 წლის 27 ნოემბრისა „საქართველოს სსრ სახალხო კომისარია; ტებისა და ცენტრალურ დაწესებულებების მუშაობის ექვსდღიან წყვეტილ კვირაზე გადაყვანის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1931 წ. № 24, მუხ. 260);

დ) 1935 წლის 21 ნოემბრისა „შვიდსაათიან სამუშაო დღეზე საწარმოთა გადაყვანის წესის შესახებ“ (საქ. სსრ კან. კრ. 1935 წ. № 34, მუხ. 217);

3. გაუქმდეს ამიერ კავკასიის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს შემდეგ დადგენილებათა მოქმედება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე:

ა) 1929 წლის 9 დეკემბრისა „სამედიცინო-სასანიტარო დაწესებულებათა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადაყვანის შესახებ“ (ა. კ. სფსრ კან. კრ. 1929 წ. № 23, მუხ. 228);

ბ) 1931 წლის 27 ნოემბრისა „დაწესებულებებში წყვეტილი საწარმოო კვირის შემოღების შესახებ“ (ა. კ. სფსრ კან. კრ. 1931 წ. № 22, მუხ. 248).

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. სტურუა.

საქ. ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

## 94. სავაჭრო ორგანიზაციების მიერ უკანონოდ შექმნილი წარმომადგენლობათა ლიკვიდაციის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ შესრულებული არ არის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1940 წ. 21 აპრილის № 676 დადგენილება ქ. თბილისში უკანონოდ შექმნილ წარმომადგენლობათა ლიკვიდაციის შესახებ.

1940 წ. ივლისში ჩატარებული შემოწმებით დადასტურდა, რომ ზოგიერთ ვაჭრობებს თბილისში ჰყავდათ თავისი წარმომადგენლები, რომელთა ლიკვიდაცია მათ გამოკვლევის პერიოდში მოახდინეს, ხოლო სხვა ვაჭრობებს დღემდეც ჰყავთ თავისი წარმომადგენლები.

ქ. თბილისში თავისი წარმომადგენლები ჰყავთ: აფხაზკურორტვაჭრობას, აფხაზვაჭრობას, აჭარევაჭრობას, საქვაჭრობას, მთელ რიგ სამომხმარებლო კავშირებს (ლუქსემბურგის, დუშეთის, ბაშქიჩეთის, წალკის, თიანეთის კავშირები) ყაზბეგის სასოფლო-სამომხმარებლო საზოგადოებას და ხრამჭესის სპეც.-საცალო ვაჭრობას.

ამას გარდა, დადასტურებულია, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობებს თავისი წარმომადგენლები ჰყავდათ აგრეთვე სსრკ სხვა ქალაქებშიც: თბილვაჭრობას—მიიკოპში, პიატიგორსკში, თბილხილბოსტანევაჭრობას—არხანგელსკსა და კრასნოდარში, თბილისის საზღვების ტრესტს—მოსკოვში.

ქ. თბილისსა და სხვა ქალაქებში თავისი წარმომადგენლები ჰყავდათ აგრეთვე საქვაჭრობის განყოფილებებს (სამტრედიის, ზუგდიდის, ცხაკაიას, წულუკიძის, ხაშურის, ბორჯომის, მახარაძის და გორის განყოფილებანი).

იმ მიზნით, რომ საესებით იქნას ლიკვიდირებული უკანონოდ შექმნილი წარმომადგენლობანი, რომლებსაც თავისი მუშაობით დეზორგანიზაცია შეაქვთ საქონელბრუნვაში საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ადგილობრივ ვაჭრობებსა და ცეკავშირს ერთი დეკადის ვადაში მოახდინოს როგორც ქ. თბილისში, ისე სსრკ სხვა ქალაქებში ვაჭრობებისა და რაისამომხმარებლო კავშირების მუდმივი წარმომადგენლების ლიკვიდაცია, რომელთა შექმნა გაფორმებული არ არის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ნებართვით.

2. დაუყოვნებლივ იქნას ლიკვიდირებული როგორც ქ. თბილისში, ისე საქართველოს სსრ სხვა ქალაქებში ყველა სხვა სავაჭრო წარმომადგენლობანი; რომელთა შექმნა გაფორმებული არ არის საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს ნებართვით.

3. აიკრძალოს შემდეგში ყოველგვარი სავაჭრო წარმომადგენლობათა მოწყობა საქართველოს სსრ ქალაქებში საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს სათანადო ნებართვის გარეშე.

4. იმ სავაჭრო ორგანიზაციებმა, რომლებსაც საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსაგან მიიღეს წარმომადგენლობათა შექმნის უფლება, თავისი წარმომად-

გენლები უნდა გაატარონ რეგისტრაციაში საქართველოს სსრ ვაქრობის სახალხო კომისარიატში.

5. საქართველოს სსრ გამსაღებელ და საეპრო ორგანიზაციებს შეუძლიათ დასდონ საეპრო გარიგებანი მუდმივ წარმომადგენლებთან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელებს ექნებათ საქართველოს სსრ ვაქრობის სახალხო კომისარიატის ვიზა-რეგისტრაცია.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. ხტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს.-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. სექტემბრის 6 № 1709.  
თბილისი.

## 95. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის აპარატის სტრუქტურის შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

საბიუჯეტო მუშაობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის საბიუჯეტო სამმართველოს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებათა ლიკვიდაციისა და ამ მუშაობაში მეტი ოპერატიულობის შექმნის მიზნით,—შეტანილი იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის სტრუქტურაში შემდეგი ცვლილებანი ხელფასის არსებული ფონდის შენარჩუნებით:

ა) გაუქმდეს აშუამად არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის სამმართველო, ადგილობრივი ბიუჯეტების სამმართველო და სახალხო მეურნეობის დაფინანსების სამმართველო;

ბ) ამ სამმართველოების ნაცვლად შეიქმნას ერთი საბიუჯეტო სამმართველო, რომელიც დაყოფილ იქნას შემდეგ დამოუკიდებელ განყოფილებებად დარგობრივი ნიშნის მიხედვით:

- 1) განათლებისა და კულტურის დაფინანსების განყოფილება;
- 2) ჯანმრთელობის დაცვის, ფიზკულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის დაფინანსების განყოფილება;
- 3) სოფლის მეურნეობის დაფინანსების განყოფილება;
- 4) კომუნალურ-საბინაო მეურნეობისა და ტრანსპორტის დაფინანსების განყოფილება;
- 5) ვაქრობის დაფინანსების განყოფილება;
- 6) კვების, ხორცის, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის დაფინანსების განყოფილება;

- 7) ადგილობრივი სატყეო მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის და რაიონული მრეწველობის დაფინანსების განყოფილება;
- 8) მმართველობისა და სხვა უწყებათა დაფინანსების განყოფილება;
- 9) ნაკრებ-საგეგმო განყოფილება.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. სტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. სექტემბრის 6. № 1716,  
თბილისი.

96. 1940 წლისათვის ითხვისის კვარცის ქვიშის დროებითი 1940 წ. გასაცემი ფასის დამტკიცების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის მიერ წარმოდგენილი ითხვისის საბადოს ერთი ტონა კვარცის ქვიშის დროებითი გასაცემი ფასი 1940 წლისათვის 70 მანეთის რაოდენობით ფრანკო-დარკვეთის სადგური.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. სტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. სექტემბრის 6. № 1729.  
თბილისი.

97. სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხის დამატების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სახელმწიფო და ადგილობრივ ბიუჯეტებზე მყოფ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების ნუსხას (საქ. სსრ კან. კრ. 1936 წ. № 30, მუხ. 176; 1937 წ. № 4, მუხ. 30; საქ. სსრ დადგ. კრ. 1939 წ. № 9, მუხ. 41; № 13, მუხ. 56; 1940 წ. № 6, მუხ. 23) დაემატოს მუხ. 22 შემდეგი შინაარსისა:

**სახსრების წყარო**

მუხ. 22. იმ ფულადი ჯარიმების შე-  
 მოსვლის 50%<sup>0</sup>/<sub>10</sub>, რომლებსაც აღმინის-  
 ტრატული წესით დაადებს საქართვე-  
 ლოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული  
 სანადირო სარეწაოს სახელმწიფო ინს-  
 პექცია, აგრეთვე რაც დადებული იქ-  
 ნება სასამართლოს მიერ ნადირობის  
 წესებისა და ვადების დარღვევის გამო.

**სახსრების დანიშნულება**

იმ პირთა დასაჯილდოვებლად, რომ-  
 ლებმაც აღმოაჩინეს ნადირობის წე-  
 სების დარღვევა და უკანონო ნადი-  
 რობის პროდუქციით ვაჭრობა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. სტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. სექტემბრის 6. № 1742.  
 თბილისი.

**98. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისა-  
 რიატის სტრუქტურისა და შტატების შესახებ.**

იმ მიზნით, რომ აღმოეხერხებინათ ორგანიზაციული ნაკლოვანებანი სა-  
 ქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის აპა-  
 რატის სტრუქტურაში და უზრუნველყოფილ იქნას საწარმოების ხელმძღვანელო-  
 ბის ოპერატიულობა, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სა-  
 ხალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის შემდეგი სტრუქტურა.  
 აღმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილება,  
 სპეცგანყოფილება,  
 ცენტრალური ბუხჰალტერია,  
 საგეგმო-საფინანსო განყოფილება,  
 მუშათა კადრების და ხელფასის სექტორი,  
 კაპიტალური მშენებლობის სექტორი,  
 სახალხო კომისრის, მისი მოადგილისა და კოლეგიის სამდივნო.

2. დამტკიცდეს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სა-  
 ხალხო კომისარიატის ცენტრალური აპარატის შტატი 35<sup>1</sup>/<sub>2</sub> ერთეულის რაოდე-  
 ნობით ხელფასის თვიური ფონდით 22,250 მანეთის რაოდენობით, თანახმად  
 № 1 დანართისა.

3. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისა-  
 რიატის შემადგენლობაში არსებული: პირუტყვის დამზადების მთავარი სამმართ-  
 ველო, ხორცის მრეწველობის მთავარი სამმართველო და ყველ-კარაქის მრეწვე-  
 ლობის მთავარი სამმართველო რეორგანიზებულ იქნას შესაბამისად შემდეგ  
 ტრესტებად „საქპირუტყვედამზადება“ „საქხორცმრეწვი“ და „საქყველკარაქმრეწ-“

ვი“, რომელნიც მოქმედებენ სამეურნეო ანგარიშზე და სარგებლობენ იურიდიული პირის უფლებებით.

4. დამტკიცდეს, თანახმად № 2, 3 და 4 დანართისა საშტატო განრიგება ტრესტებისათვის— „საქპირუტყვდამზადება“ (23 ერთეული ხელფასის თვიური ფონდი 12,850 მანეთის რაოდენობით), „საქყველკარაქმრეწვისათვის“ (34 ერთეული ხელფასის თვიური ფონდი 19,225 მანეთის რაოდენობით) და „საქხორც-მრეწვისათვის“ (27<sup>1</sup>/<sub>2</sub> ერთეული ხელფასის თვიური ფონდით 16,025 მანეთის რაოდენობით).

5. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის სისტემაში მოეწყოს სამეურნეო ანგარიშზე მყოფი კანტორა „საქხორც-რძისვაჭრობა“ ხორცისა და რძის პროდუქტების საცალო ვაჭრობისათვის და მიენიჭოს მას იურიდიული პირის უფლებები.

დამტკიცდეს „საქხორცრძისვაჭრობის“ კანტორის შტატი 16 ერთეულის რაოდენობით; ხელფასის თვიური ფონდით 7.265 მანეთის რაოდენობით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს დამტკიცოს ტრესტების „საქპირუტყვდამზადების“, „საქხორც-მრეწვის“ და „საქყველკარაქმრეწვის“ აგრეთვე „საქხორცრძისვაჭრობის“ კანტორის წესდებები და საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით დააწესონ მათი საწესდებო ფონდების ოდენობა.

7. საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა მოახდინოს ტრესტების „საქპირუტყვდამზადების“, „საქხორცმრეწვის“ და „საქყველკარაქმრეწვის“ აგრეთვე „საქხორცრძისვაჭრობის“ კანტორის სახელმწიფო რეგისტრაცია.

8. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს ტრესტების ორგანიზაციასთან დაკავშირებით დააზუსტოს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის საფინანსო გეგმა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს თავმჯდომარის მოადგ. გ. სტურუა.

საქ. სსრ ს. კ. ს-ოს საქმეთა მმართველი ი. რუხაძე.

1940 წ. სექტემბრის 9. № 1756.

თბილისი.

0.603/300

გამომცემელი: საქართველოს სსრ სახალხო კომისარიატის სამედიცინო სამსახური

უნდა ჩაბარდეს პირველ რიგში  
ხელწერილის ქვეშ.

მისამართისათვის



ფასი 40 კაპ.

დ. პ. ბერია სახელგობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.  
Полиграфкомбинат „Комунисти“ им. Л. П. Берия, Тбилиси, ул. Ленина № 28.

შე (УЭ) 7102

შეკვეთა (Зак.) № 1318

ტირაჟი (Тираж) 2000

საქართველოს საბჭოთავო საგარეო კომისარიატის სამედიცინო სამსახური